



Յ Ա Խ Ո Վ Ո  
1939



Տիգրան Դավթյան

3160%0  
1939

ඒස ලෞක්සේඛි දාඩුවේදී තුළ ඇ 30 —  
40 ඊලිස ඊනුද, මෙයා දා මෙයා දරුවා, මෙයා  
දා මෙයා ගාම්පුළුමේද්දි. පිරුවේලාද මූල්‍ය දී-  
දා මෙම මාරුව තරි ලෞක්සිය: „මුණා“ දා „දාමී  
සානුරානුගේත්දි“.

අවත්‍යාර්ථි.

## შართველი ჩალი

ოსმალელმა ქართველ ქალსა  
შემოჰყიცა სიყვარული.  
უთხრა: ტურფავ, ცეცხლის ალსა  
შენ მიეცი ჩემი გული.

დამეკარგა სულ იმედი,  
ცრემლიც ბევრი დამედინა,  
მოწმად მომყავს მუჭამედი,  
მისი მექქა და მედინა.

რუსმა უთხრა: ფრთხილად, ქალო,  
ურჯულომ არ შეგაცდინოს,  
მაში რაა სატრფიალო,  
ჰქეიფობს და არ სვამს ღვინოს.

შენს სიტურფეს, გულის ძერას  
დააფასებს იგი განა?  
გაწყევლინებს ბედისწერას  
მის უმზეო ჰარამხანა.

ქალო, ჰნახე ჩემი მხარე,  
ჰნახე როგორ მიიშლება  
მის ველებზე მოელვარე  
დასავლეთის მონათება.

ამ შუქითა მკერდ - შემპული  
 შენც იქნები ბედნიერი.  
 ქალო, ჩვენ გვაქვს ერთი რჯული,  
 ერთი უნდა გვქონდეს ჭერი.

ქალმა უთხრა: დამეხსენით,  
 ორთავესა გიცნობთ კარგათ,  
 ნდობა ტკბილი, სავსე ლხენით,  
 ორთავესა დაგეკარგათ.

დამეხსენით! ნუ მეხებით!  
 ასეთია ჩემი ნება.  
 მხოლოდ თქვენი მეოხებით  
 მე არა მაქვს მოსვენება,

არცა მანსოვს აქამდინა  
 დღე ულრუბლო - უბურუსო.  
 არც მექქა მრწამს, არც მედინა,  
 და არც შენი ფიცი, რუსო.

## ა მ ი რ ა ნ ი

ზოგჯერ კვნესა საშინელი  
 ღამის ბნელში ჰაერსა ჰევს,  
 და შიშისა ურუანტელი  
 გადაუცლის მთასა და ხევს.

ვერ გაიგებს იმა კიეილს,  
 გამოწვეულ გულის ტკივილს,  
 ოსმალეთი, ვერც ირანი.

ის ხმა არი დიდი გმირის:  
 იცოდე, რომ მთებში ჰტირის  
 მიჯაჭული ამირანი.

## గ చ చ 1 8 0

(గణిత క్లాసులు)

అడుగా మంచా దా శుర్దులు  
బెల్లిషి అంట నేలా మాన.  
సాజ్మె మాస ఉప్పార్స జుర్దులు,  
తావో మిత సాక్షేలా మాన.

తెనాళా, లాయ్వార్డు తిథ్రుప్పుగాల్చేదు,  
శిగాం అర్థించి తెర్రింగాల్చేదు,  
తింట్చొ మిత్జెంండ్రు సింసా;  
మంచేదు దాక్షుర్హుదు, డార్హుదు,  
కెర్దారూజుందు, భింబల్లింగ్ తెల్గుార్గుదు  
మర్చెర్రి అన శ్యేసింసా.

అర్థించు గుర్రంలా మంచామా,  
సిసబ్బలిస ల్వార్కింతా మంచామా  
గైలు సామింబల్లం మొరిసా.

లాయ్వార్డు ఇస్యె తిథ్రుప్పుగాల్చేదు,  
మాగ్రామ ఒక్క అర్చ తెర్రింగాల్చేదు  
గుమ్మాగి మతా దా డార్హిసా.

## III. გილოზი

ვენაცვალე მის სახელსა! ის მზად არის მოგვეშველოს,  
 თუ რაიმე ავი სული ემუქრება საქართველოს.  
 თუ ღრუბელი, ძალა ბნელი, იქრიბება კამარაში,  
 მის ციური თავლიდანა მას გამოჰყავს თავის რაში,  
 მოახტება, გააჭირებს, ბრძოლის ცეცხლით წანაქეში,  
 რაშის ნალი მიბრჭყვიალებს, ნაპერწკლებსა აყრის დეზი.

ვენაცვალე მის სახელსა! ნაპერწკლებში იგი მიჰქონის,  
 რომ ბურუსი განაბნიოს შიშისა და შავი ფიქრის,  
 აპა, ჭორობს გადასცილდა, ისმის, ისმის მის გრიალი,  
 ჩამოშორდა ბეზობდალსა — ახმაურდა დარიალი!  
 ჰდევნის ყველგან აესა სულსა, მიჰქონის, მიჰქონის  
 გმირთა-გმირი,  
 სანამ წინ არ გაეშლება შავი ზღვისა განაპირი.

ვენაცვალე მის სახელსა! აპა, დეზი გაჰქრა კიდე,  
 იელვა და ნაპერწკლებით წამოინთო ცისა კიდე;  
 ქუხილია? მაშინ დოლი იმართება კამარაში:  
 აესა სულსა უკან მისდევს აქაფებულ მისი რაში,  
 თუ მიასწრო, დაეწია და ბორზალი თვისი ჰფრიწა,  
 გავარდება მაშინ მეხი, იბზრიალებს დედა-მიწა.

ვენაცვალე მის სახელსა! მხოლოდ მაშინ მშვიდად არი,  
თუ კამარა იწმინდება, საამური ჰდგება დარი.  
ამ, ის რომ არ ყოფილ-იყო სასწაულის შემომქმედი,  
დიდი ხნიდან განწირული იქნებოდა ჩვენი ბედი,  
ბედი კრული, ბედი ბნელი, უმწეო და უსაშველო.  
ამიტომაც მას აღიდებს მარადიულ საქართველო.



## ნ ი ნ ი ს

მართალს ამბობ, ჩემო ნაზო !  
უშნოა და ულამაზო  
ჩემი ლექსი: მაში გული  
არ ჰდგერს მხნე და მხიარული.

მაგრამ რად არ მოგაგონდა,  
ვის მიუძღვის უფრო ბრალი?  
მე რომ ერთი გული მქონდა,  
ის ხომ შენეე მომიკალი.

## მაისის ღამე

საყვარელსა წიგნსა ვწერდი,  
მაისისა იდგა ღამე.

მე პეპელას შევაცემდი,  
საუცხოვო იყო რამე.  
ის უეცრად შემოვარდა,  
გიყისავით სანთელს ეცა,  
საამური ფრთების გარდა  
ბევრი ჰქონდა სინაზეცა.  
არა ჰგავდა მხდალს და ცრუსა,  
განწირული ჰქონდა თავი;  
ბოლოს ფრთები შეეტრუსა  
და დაეცა საცოდავი.

მან აიღვა უცებ ენა,  
გამაქვირვა, გამაოცა,  
მითხრა: „ჩემი გადარჩენა  
ძნელია და ამაოცა.  
გეტყვი მხოლოდ, სანამ სული  
არ გაჰყრია ხორცსა ჯერე,  
ვინ ვარ, რა ვარ, სით მოსული?  
მართალს გეტყვი, დამიჯერე.

ცხრა მთას იქით, თუ ცხრა ქედის,  
 ჰდგას დარბაზი ძვირზე ძვირი,  
 კოშკის თავი ცაში შედის,  
 ვარდებშია კოშკის ძირი.  
 იქ ჰდგას ტურფა, ჩემი მწველი,  
 ეძახიან მზეთა-მზესა.  
 ვერ აგიშერს კაცის ხელი  
 მის სიტურფე-სინაზესა.  
 მე არ ვიყავ მარტო ოდენ  
 მისი ეშხით ცეცხლ-ნადები,  
 დარბაზის წინ ირეოდენ  
 ახალგაზრდა რაინდები.  
 ერთხელ დადგა სარკმლის წინა  
 ის ვარსკვლავი უებარი,  
 გადმოგვხედა, გაგვიცინა,  
 განანათლა მთა და ბარი.

გვითხრა: „რა ვქნა, ღმერთო ჩემო,  
 ჩუმად არის ჩემი გული.  
 ხელსა ვერვის ვერ მივცემო,  
 ციფი ვარო, ვით ყინული.  
 მაგრამ არის ცეცხლი ცხელი,  
 სულსა ანთებს, ანთებს ტანსო,  
 მას ეკუთვნის ჩემი ხელი,  
 ვინც ამ ცეცხლსა მომიტანსო!“

იმ წამს რაზმი რაინდების  
 გაითანტა მთა და ბარად,  
 მსხეურბლი ტებილი ცეცხლის დების  
 იმ ცეცხლისა საძებარად.

მეც იმათთან გამოვიჭერ,  
 წამოვედი როგორც ხელი.  
 ცეცხლისა წინ თავს ვერ ვიჭერ,  
 უნდა ვტაცო იმას ხელი.  
 ვირბინე და ვიტრიალე  
 ქვეყანაზე დიდი ხანი,  
 დავჭინი, დავდნი, დავიღალე,  
 ჩხირი გახდა ჩემი ტანი.  
 გადავლახე კიდევ მთები,  
 იქით ვეცი, აქეთ ვეცი,  
 შემომესხა ბოლოს ფრთები  
 და პეპელად გადვიჭეცი.

გაიხედე, რა ღამეა,  
 რა სიტურფე, რა შვენება!  
 თვალისათვის სიამეა,  
 გულისათვის მოსვენება.  
 ღამის ბნელში შენალალი  
 პეპელების დაპრბის გუნდი,  
 ზოგი ჰბრწყინავს, როგორც ლალი,  
 ზოგი, როგორც იაგუნდი.  
 ყველას ვხდები, ვით პეპელა,  
 სადაც კი არ მივფრინდები,  
 პეპელებად იქცენ ყველა  
 უწინდელი რაინდები.  
 სიყვარული მათი ვიცი,  
 ვიცი მათი გულის ძერა,  
 ყველასა გვკრავს ერთი ფიცი,  
 ერთნაირი ბედისწერა.

ამ საღამოს აქ ვიყავი,  
 შენ ფანჯარა გქონდა ღია.  
 ვთქვი: „გავწირო ჩემი თავი,  
 თავზე ხელი ამიღია.“  
 დავინახე მობრჭყვიალე  
 სანთელი და შემოვფრინდი.  
 ერთხან ირგვლივ ვიტრიალე,  
 მერე ვეცი, ვით რაინდი;  
 ვიტრიალე და ვიბრუნვე  
 უშედეგოდ იმის წინა,  
 მხოლოდ დავწვი, დამრჩა მუნვე,  
 ეს თათები პაწაწინა.  
 ცეცხლი ვეღარ გავიტაცე,  
 ცეცხლი მწველი მით მედება,  
 წახდა ჩემი სიმამაცე,  
 ჩემი თავის გამოდება.

ცხრა მთას იქით, თუ ცხრა ქედის,  
 ჰდგას დარბაზი ძვირზე ძვირი,  
 კოშკის თავი ცაში შედის,  
 ვარდებშია კოშკის ძირი.  
 იქ ჰდგას ტურფა, ჩემი მწველი,  
 ის ანათებს ქვეყნის პირსა.  
 ვაი, ვკვდები მისთვის ხელი!  
 მისი ნახვაც არ მეღირსა.“

გამიკვირდა, გაცავშტერდი,  
 გადვირიე კინაღამ მე.  
 საყვარელსა წიგნსა ვწერდი,  
 მაისისა იდგა ღამე.

## მ ხ ე ბ ა ლ ი

(უცნობი პოეტისა)

მე ის ათ-ჯერ მივატოვე,  
 ათ-ჯერ ისევ დავუბრუნდი.  
 ეხლა იცის, არსად წავალ,  
 დავემონე, დავძაბუნდი.  
 არცა მიყვარს! ხვალ რო მოჰქვდეს,  
 მოვისვენებ — ოპ ღმერთმანი!  
 ისე მწვავს და ისე მდაგავს  
 საუცხოვო მისი ტანი.

იცით? ტანჯვა საშინელი,  
 ვერ-საშველი ვერა ვერსით:  
 ქალის ტანს რომ დაჰქვითინებ,  
 შებლალულსა სხვის ალერსით.  
 როცა იცი, რომ ეს ტანი,  
 რომ ამ მკერდის თეთრი ქულა,  
 სხვის მკლავებში წელან პირთოდა,  
 სხვისი კოცნით ჩათუთქულა?!

გუშინ ვცემე!... წამოვარდა,  
 წამოანთო ცეცხლებრ თვალი,

საფანტივით მომაყარა  
 მძულვარების ნაკვერჩხალი;  
 აეფურცლა ისე ლოყა,  
 ისე ჭირობდა მისი ტანი,  
 რომ მე ისევ გიჟისავით  
 მის ტუჩებსა ჩავეწანი.

როცა ორივ მშვიდადა ვართ,  
 დამიწყნარდა, დავუწყნარდი,  
 ამთქნარებს და იზმორება,  
 სულ არა აქვს ჩემი დარდი.  
 როცა თმენა მეკარგება  
 და კვლავ ეჭვით ანაფეთქი  
 ვეუბნები: შენს საყვარლებს  
 ჩავუჩეჩევავ ცხვირსა-მეთქი!  
 შემომხედავს, ჩაიცინებს:  
 აი, ეს-ლა მაღარდებსო!  
 როცა ვყვირი: თავს მოვიკლამ!  
 — ვინ მოუვლის შენს ვარდებსო?

და დღე ჩემი სამარცხვინო  
 აგრე მიდის... მხოლოდ ველი,  
 დაპტენეს მალე, როგორც ვარდი,  
 მის სიტურფე სანატრელი.

## დ ე დ ა - მ ო კ ა \*)

ჰედავ, მგზავრო! ა, იმ მთაზე  
 ციხე რომ სჩანს საამური,  
 ძველთა ღროთა სილამაზე,  
 ბრძოლის ცეცხლით განამური?  
 მას ლაქვარდი დაბრკყვიალებს,  
 წინ ეშლება ტყე და ველი,  
 ქვეშ ტეხური მოგრიალებს,  
 მის დიდების მოწმე ძველი.  
 შვენება კი მთა და ბარის,  
 უპატრონო, დანგრეული,  
 ციხე ძველი ჩუმად არის,  
 სიზმრებშია გახვეული.

აქ ქართველმა, მხნე და ლალმა,  
 ერთხელ ჰახა შიშის ზარი.  
 მტერი მაშინ იდგა გალმა  
 და გამოლმა ჩეენი ჯარი.  
 დაინახეს: მოპრბის ქალი,  
 მტერი მოსდევს, არ აქვს შველა,

\*) მოქა = მძიმე; დედა-მოქა = ფეხ-მძიმე დედა-კა-  
კი. ასე ეძახიან ტეხურის ერთ ადგილს, სამეგრელოში.

მოპტრბის, მოპტრბის ის საწყალი,  
 თმა-გაშლილი, ფეხ-შიშველა.  
 მწვანე მდელოს მოამშვენებს,  
 მოპტრიალებს თეთრი კაბა.  
 შიშმა დაპკრა მაშინ ჩვენებს,  
 მთა და ბარი გაინაბა.

ქალმა ნაპირს მიახწია,  
 მის კიდეზე დაპდგა ფეხი,  
 და მოპწყდა იქ, როგორც ია,  
 ქარიშხალით მონატეხი.  
 წინ ტეხურის მოპქუხს წყალი,  
 როგორ ენდოს უნდობელსა?  
 და აღაპყრო ზეცას თვალი,  
 შეეველრა ლვთის მშობელსა:  
 — „დადავ ლვთისა, ლვთისა დედავ,  
 დედა უნდა გავხდე მალე,  
 რა დღეში ვარ, შენცა ჰხედავ,  
 შემეწიე, შემიბრალე.  
 ეს ქვეუანაც შეიწყნარე,  
 ის ხომ არის ხვედრი შენი,  
 და ეს ტურფა არე-მარე  
 შერცხვენისგან დაიხსენი.“

ასე სთქვა და გასაკეირი  
 სასწაული მოხდა მანდა:  
 წყლის კლდიანი განაპირი  
 შეირყა და გამოპქანდა.  
 გაპყლეტილი მისი მკერდით

აღრიალდა იქ ტეხური,  
 და ის კიდე კიდის გვერდით  
 დაპდგა, როგორც საფეხური.  
 ქალი შედგა ... მოპწყდა ბოლმა  
 შიშისა და სევდის გულსა,  
 და მიეცა წყლის გამოლმა  
 მთელი ჯარი სიხარულსა.  
 იცოცხლე, რომ დაპტრიალდა  
 ზოგან ხმალი, ზოგან შუბი,  
 ტეხური რომ აღრიალდა  
 ერთი წუთით შენაგუბი.  
 მოპხდა ბრძოლა საშინელი,  
 ჰეთუზუნებდა ცხელი ტყვია,  
 მისი კვალი წარუშლელი  
 ციხის ქვებსა დღეს ატყვია.  
 ვაშა, ვაშა ქართველთ ხმალსა!  
 ლხენა იყო, არ ვაება,  
 და წარსული მომავალსა  
 ოქროს ძეწკვით გადაება.

სახსოვრად კი ამ დღის დიდის  
 ვიწრო დარჩა იქ ტეხური,  
 იქით კიდე აქეთ კიდის  
 თითქო იყოს საფეხური;  
 მტკაველს უდრის რამდენიმეს  
 მისი განი, ისე რომა  
 დედა-კაცსაც ფეხი-მძიმეს  
 შეუძლია გადახტომა.  
 მართალს ამბობს, არა ჰტყუის

ეს ნაპირი უცხო რამე,  
 და ტეხურიც ჰქუნს და ჰშხუის,  
 მაზე ყვირის დღე და ღამე.  
 ციხე დამზერს ტყე და ველებს,  
 მღუმარეა ის მარტოკა,  
 და ძველ სიზმრებს უცხოველებს  
 თვით ცხოველი დედა-მოკა.

## თავისუფლება

### I

მივდიოდი ნელა გაჩენისა გზაზე.  
 უცებ ქალი შემხვდა, უცხო სილამაზე.  
 მან ასწია ხელი, იმ ხელის აწევით  
 განაბნია ნისლი დედამიწის ზევით.  
 დავინახე მთები, ლამაზ-ლამაზები,  
 დაშლილ-დანგრეული ციხე-დარბაზები,  
 სახლს არ ჰქონდა ქერი, ქერსა სახურავი,  
 ცაში ირეოდა ყორანი და ყვავი.  
 შემიწუხდა გული, ამით ანატკენი,  
 ხმაცა გავიგონე: „სამშობლოა შენი!...“  
 მოვიხედე, ვეძებ: ის უცხო შვენება  
 არსად იყო ... გაჭრა, როგორც მოჩვენება.

ნეტა ვინ იყო... ვინ არი  
 აგრე შეენებით მბრძყინარი,  
 აგრე წარმტაცი სულისა?  
 ფიქრსა რად მინთებს ალებით,  
 გულსა რად მიესებს წვალებით,  
 რად მელანდება სულ ისა?!

II

ერთხელ კაცის მკვლელი გავხდი კინაღამ მე:  
 ჩასაფრებულ ვიყავ, იდგა ბნელი ლამე,  
 მძულვარება გულზე მაწვა, როგორც ლოდი,  
 და სულ-განაბული მტერსა მოველოდი.

ჩემი მტერი იყო ისევ მოძმე ჩემი,  
 პასუხიცა მქონდა მისთვის გასაცემი.  
 აი, ქუჩის პირად გამოჩნდა და მეცა  
 მოვიმარჯვე დანა გულში რომ ჩამეცა,

წამოვვარდი, ვეცი, ვეცი, როგორც ხელი...  
 ამ დროს ვიღაცამა დამიჭირა ხელი;  
 ჩემ წინ იდგა ტურფა!... ის არა ჰითოდა,  
 მხოლოდ ლამაზ სახეს ცრემლი ჩასდიოდა.  
 გამომგლიჯა სწრაფად მე მან ხელიდანა  
 და შორს გადააგდო მოქნეული დანა;  
 სახე მწუხარებით მან აამეტყველა:  
 „რას ჰქადიხარ?! მითხრა, თქვენ ძმები ხართ  
 ყველა!“

ნეტა ვინ იყო... ვინ არი  
 აგრე შეენებით მბრწყინარი,  
 აგრე წარმტაცი სულისა?  
 ფიქრსა რად მინთებს ალებით,  
 გულსა რად მივსებს წვალებით,  
 რად მელანდება სულ ისა?!

### III

დრო გავიდა მერე ... მარტო ვიჯექ შინა,  
 წინ რვეული მედო, სარკეც მედგა წინა,  
 რომ ავწივ თავი, მაში დავინახე  
 იმავ მოჩენების მშვენიერი სახე:  
 რვეულს ჩასცემოდა, როგორცა რომ ხარბი,  
 ცოტა წაიკითხა, შეიძმუხა წარბი,  
 მერე ჩაიცინა: შენცა ლექსებს სწერო?  
 — რატომ არა, ვუთხარ, ჩემო მშვენიერო!  
 მტერი არ გვეშვება, ის გაგვიბატონდა,  
 მეცა შევებრძოლე, რაც კი ნიკი მქონდა,  
 სულ ლექსად გარდავთქვი მწუხარების წუთი,  
 ამოვაცსე კიდეც ბარე თრი ყუთი.  
 სხვა რა უნდა მექნა? რაღა შემეძინა?!  
 როცა არე-მარეს თითქმის ჩაეძინა  
 და სიცოცხლის კვალი არსად არ ატყვია ...  
 მიპასუხა: „თოფი, წამალი და ტყვია!“

ნეტა ვინ იყო... ვინ არი  
 აგრე შვენებით მბრწყინარი,  
 აგრე წარმტაცი სულისა?  
 ფიქრსა რად მინთებს ალებით,  
 გულსა რად მივსებს წვალებით,  
 რად მელანდება სულ ისა?!

დრო გავიდა კიდე ... იდგა გაზაფხული,  
 ყველგან სიყვარულით ჰცახცახებდა გული.  
 ბაღში მივდიოდი, უცებ დავინახე  
 იმავ მოჩერენების ლვთაებრივი სახე:  
 თეთრ კაბაში, ტურფა, უფერ-უმარილო,  
 იდგა მშვენიერი, როგორც მარმარილო.  
 შევკრთი, დავიბენი ... მე დავწყვიტე მხოლოდ  
 ვარდი, მერე შევკარ ისე, უთავბოლოდ,  
 და მწვანე ფოთლებში სწრაფად შენახვევი  
 ხელის კანკალითა ფეხ-წინ დავუდევი.  
 შემომხედა ტურფამ, მწარედ ჩაიცინა,  
 მერე მითხრა მკაცრად: „ჩემი ფეხის წინა  
 უნდა ვარდის არა ... თავის დადებაო!...  
 მე ვარ შენი ქვეყნის თავისუფლებაო“.

ეხლა კი ვიცი, ვინ არი  
 აგრე შვენებით ბრწყინარი,  
 აგრე წარმტაცი სულისა.  
 ვიცი, რადა მწვავს ალებით,  
 გულსა რად მივსებს წვალებით,  
 რად მელანდება სულ ისა.

## ლაშე საფრანგეთში

### I

აპა, დავაგდე ქალაქი დიდი,  
 ტურფა, მდიდარი, კეთილ-შობილი.  
 ველი პტრიალებს, პბზრიალებს ხიდი,  
 მიპქროლავს ჩემი ავტომობილი.  
 „ქალაქი ესე, მეუბნებოდენ,  
 შუა-გულია ქვეყნიერების,  
 ნათელი რამე, წყარო იმოდენ  
 სიამისა და მშვენიერების!“  
 მეც ვესწრებოდი ყოველსა კრებას,  
 თუ მოხდებოდა სადმე ყრილობა;  
 იქ ეძიებდა რაიმე შვებას  
 ჩემი გულისა მწველი ჭრილობა.  
 მაგრამ შედეგი არ იყო დიდი,  
 დავრჩი ისევე ლახვარ-სობილი.  
 ველი პტრიალებს, პბზრიალებს ხიდი,  
 მიპქროლავს ჩემი ავტომობილი.

### II

ჩაჰქრა მზის შუქი უკანასკნელი,  
 ვით ზოგჯერ გულში მხიარულება.

ქირი მიბერავს, ჯერ კიდევ ნელი,  
 ყურში რაღაცას მეჩურჩულება:  
 — „დიალ, მოვდივარ მე იქიდანა,  
 სიტყვაცა მომაქვს შემონათვალი.  
 იქ ყველას უდევს ჯიბეში დანა  
 და მტერზე ფხიზლად უჭირავს თვალი.  
 აქ რას გვიმზადებს ბედისა წერა,  
 მუდამ სიმუხთლით ამონავები?  
 რას მიახწიე და რასა — ვერა?  
 პასუხს ელიან ამხანავები.  
 მე იმათვანაც მომაქვს სალამი,  
     ამხანავური, გულწრფელი დია.  
 ზოგმა გაპყიდა თავის კალამი,  
 გული არავის გაუყიდია.  
 ზოგი ჯერ იბრძვის გონება-ხელი,  
 დახვრეტილია უმეტესობა...  
 რად ჰტირი, ცრემლი რად მოგდის ცხელი?  
 ნუთუ ლახვარი გულზე გესობა?  
 რა ვქნა? გიერი ვარ, ფიცხი და ჩქარი,  
 კლდე და ლრეებში მე ვარ შობილი“.  
 ამოდის მთვარე, ჰჭუზუნებს ქარი,  
 მიპქროლავს ჩემი ავტომობილი.

### III

მთვარე მიპცურავს, მე შემომლიმის,  
 ტყეში ლანდებმა დაიწყეს რხევა,  
 მე ხან მაღება ღიმილი იმის  
 და ხან ლანდები შემომეხვევა.

— „შე საცოდავო! მე მეუბნება  
 ნაზი ღიმილით გუშაგი ღამის:  
 ვნახე, რა ტკბილი არის ბუნება,  
 შენა კი სული დაპლიო ღამის.  
 თავის ზღვარი აქვს შესაძლებლობას,  
 უნდა გცოდნოდა თავიდან ესა.  
 ვინ მოსპობს ქვეყნად უსამართლობას,  
 ვინ ამოსწურავს ოკეანესა?  
 შენებრივ მებრძოლს, თუნდაცა ორ-ასს,  
 თუ მიუმატებ კიდევ ორასსა,  
 წიხლს მაინც ვერ ჰქომამ აქეთა ვორას,  
 ძრასა ვერ უზამ იქით ვორასა.  
 მე ვიცი, შენა გულის ძრწოლითა  
 შემოიჩინე ევროპა მრთელი,  
 გამოწვეული შენი ქროლითა  
 სად არ დამდგარა კორიანტელი?  
 იჩბინე კიდევ, დააკაკუნე,  
 თუ გინდა კიდევ სხვა და სხვა კარებს.  
 ყრუა და მყრალი ეს საუკუნე,  
 იგი შენ ახლო არ მიგიკარებს.  
 ნუთუ ვერ ჰქოდავ, საპნის ბუშთია,  
 რასაც შენ გითხზავს შენი ვონება.  
 დღეს გარდამწყვეტი რეინის მუშთია,  
 ქვეყანას იგი ეპატრონება.  
 გაისმის მერე მუშთისა იმის  
 ქებათა-ქება ხმა-შეწყობილი“...  
 მიჰურავს მთვარე, მე შემომლიმის,  
 მიჰქროლავს ჩემი ავტომობილი.

ომ დროს სიზმარი მე მომაგონდა,  
 ის გუშინ ენახე, თუ გუშინ წინა.  
 ჰაეროპლანად საბანი მქონდა  
 და იმან სადღაც გადამაფრინა.  
 მეგონა, თითქო მე გადავლახე  
 ქვეყნიერების ყველა ზღვარები,  
 მიფრინავ ცაში... იქ დავინახე  
 ვარსკვლავებისა თქროს ჭარები.  
 დავაკაკუნე... გამიღეს... შეველ...  
 დარბაზი იყო განათებული.  
 წავდექი წინა და გაურკვეველ  
 სიამეს თითქო მიეცა გული.  
 ტახტი ჰბრწყინავდა, ჰბრწყინავდა მაზე  
 გასაკვირველი მშვენიერება,  
 მისი სიტურფე, მის სილამაზე  
 კალმითა ველარ აიწერება.  
 შემომაქცია მან ტკბილად სახე,  
 მკითხა: რისთვის ხარ მომავალიო?  
 — სამართალს ვეძებ! მე მივაძიხე,  
 მან მითხრა: მე ვარ სამართალიო!  
 — „ვერსად ვიპოვე მე შენი კვალი,  
 იქნება-მეთქი ვიპოვო ცაში!  
 (იქ ბევრი იყო კაცი და ქალი,  
 ყველამ ღიმილით დამიკრა ტაში.)  
 ნუ მკითხავ, რა მაქვს, რა საჩივარი,  
 ამ სიშორიდან რამ მომიყვანა?  
 განდა ყვავ-ყორნის დასაყივარი

ჩემი სამშობლო, ჩემი ქვეყანა.  
 ჩემია-მეთქი ტურფად ნაშენი  
 მისი ბალები, მისი ტყე-ველი".  
 მან მითხრა: „დიალ, უფლება შენი  
 უდავოა და შეურყეველი.“  
 — რა ვუყო-მეთქი? ორი მტერია:  
 ერთი — ბარინი, მეორე — აღა.“  
 მითხრა: „სადავო არაფერია,  
 აილე ჯოხი, გაჰყარე რალა!“

## V

ცას გადაეკრა ლრუბელი შავი,  
 მელნის ზღვასაებრ გადადენია.  
 უკვე ფიქრისა არა მაქვს თავი,  
 გულში ტკივილი იმოდენია.

მაღალი არის ულელ-ტეხილი,  
 სადაც მივქროლავ და ჩუმად ვტირი,  
 კლდეზედა კლდეა გადაგრეხილი,  
 გვერდით უფსკრულსა ლია აქვს პირი.  
 ჩაგხედავ იმას გონება-ხელი  
 და თვალს ვარიდებ გულ-შებყრობილი.  
 ნეტავი, ვამბობ, ამიცდეს ხელი,  
 გაცურდეს განზე ავტომობილი,

რომ მისი კვამლით ბნელი უფსკრული  
 უკანასკნელად წამოვაბოლო...  
 გათავდეს მალე სიცოცხლე კრული,  
 ჩემსა ტანჯვასა მოეღოს ბოლო.

## მ უ ჯ ა

გულო მწუხარევ, არა გაქვს შველა,  
 ჩემო გონებავ, შენცა მიქრები.  
 ოთახში ვზივარ ... მარტო ვარ ... ბნელა ...  
 ზღვად გადამექცა შავი ფიქრები.

ზღვაზე გამოჩნდა უცხო რამ გემი,  
 მომადგა კარებს, ჩააგდო ღუზა.  
 გამოდგა ქალი, ნაცნობი ჩემი,  
 ვიცან მაშინვე: ეს იყო მუზა.

მითხრა: „არ მინდა გამოგედავო,  
 არ მოგიმატო ჭირზედა ჭირი.  
 შენ მე მომშორდი, შე საცოდავო,  
 ვერ დააფასე ქონება ძვირი.

შენთვის მომქონდა ია და ვარდი,  
 მარგალიტების მომქონდა რიყე.  
 შენ მაშინ იყავ კოხტა და მარდი,  
 მე არა მყავდა სხვა მოარშიყე.

ბევრს დაებადა იმ დროსა შური,  
 ბევრმა ბრიზვულად გაგარტყა წიხლი.

ეხლა ქებაცა, გინდ იყოს ძმური,  
 რა ოხრად გინდა, რა თავში იხლი?

ეხლა, როდესაც გფარავს ჭალარა,  
 გამოგელია ძალი და ღონე,  
 ჯანი არა გაქვს, გულიც აღარა,  
 ძირს მიიწევა გონების ღონე.

ჩემს სიყვარულსა სიცოცხლის - მყოფელს;  
 შენ უდროო - დროდ დაუხშე კარი.  
 ისე ჰშორდები ამ წუთი-სოფელს,  
 ძვალი არ გრჩება არავითარი;

არავინ გიცნობს გარეთა და შინ  
 არავის უნდა შენი სახელი.  
 შენ შენი თავი დამარხე მაშინ,  
 როდესაც ჩემზე აიღე ხელი”.

## წითელი შალი

გაქედილ იყო კაცით და ქალით  
 ცირკის რიგები ახლო და შორი,  
 და ასპარეზზე წითელი შალით  
 ხარს აშინებდა ტორეადორი.

ხარი ჯერ იდგა რქებ-აზნექილი,  
 მერე ერთბაშად გავირდებოდა,  
 შუბლ-მაგარი და კუდ-გაბრექილი  
 რქებით იმ შალსა ეტაკებოდა...

ეს შედარება, როგორც მართალი,  
 არა შეონია საჭოჭმანები:  
 ჩემი ლექსია წითელი შალი  
 და ხარი — ჩემი კრიტიკანები.

F 15.332  
2